პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი — ვაჟამდე!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ოქტომბერი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 229 (14529)

შრომითი ნოგათი

● ონის რაიონის მეცხოველეობის ფერმების მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებას მიაღწიეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ცხრა თვის გეგმის შესრულებაში. 26 სექტემბრისათვის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 102,4 პროცენტით, რძისა — 103,4 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

ნელი აქუბარდიას მარჯვენას უქებენ არა მარტო სოფელ ჭალეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, არამედ მთელ წალენჯიხის რაიონში. წელს მისი პირობა იყო სეზონში მოეკრიფა 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. პლანტაციის კარგი მოვლით, ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად მან უკვე მოკრიფა 5.800 კილოგრამი ფოთოლი. სურათზე: მოწინავე მკრეფავი ნ. აქუბარდია ჩაის პლანტაციებში.

ფოტო ბ. ბოგოსხიანის.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის № 2 მაღაროს მაღაროელებმა. სათბობის მოპოვების ცხრა თვის გეგმა მათ ვადამდე შეასრულეს. გეგმის ზევით გაგზავნეს ოთხი ეშელონი ქვანახშირი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგას გვირაბგამყვანთა ბრიგადა, რომელსაც ვარლამ ხინთბა ხელმძღვანელობს.

* * *

სურათზე: ბრიგადირი ვ. ხინთბა და გვირაბგამყვანი ვ. სანგულია.

ფოტო ი. პოსხონელიძისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს

ქ. ალმა-ათა

ძვირფასნო ამხანაგებო და მეგობრებო!

კაცობრიობა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზღურბლზეა. შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ ამ თარიღს ღირსეულად აღნიშნავენ ყველა ქვეყანაში, ყველა ხალხი, დედამიწის ყველა პროგრესული ადამიანი. რევოლუციონერებისათვის ლენინის იუბილე მძლავრი სტიმულია იმისათვის, რომ გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, თავიანთი ცხოვრება და ბრძოლა შეამოწმონ ილიჩის ანდერძის მიხედვით.

თქვენი სიმპოზიუმი ეძღვნება ლენინის მოძღვრებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. ლენინის — ჩვენი ეპოქის უდიდესი გენიის აზრებმა და საქმეებმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს და კვლავ ახდენენ მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე. არ ყოფილა და არ არის სხვა ადამიანი, რევოლუციონერი, მებრძოლი, რომელსაც ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინურმა თეორიამ და ჩაგრულ ხალხებთან საერთაშორისო პროლეტარიატის მტკიცე კავშირის სტრატეგიამ გვიჩვენეს კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ძლევამოსილი ბრძოლის გზა.

თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი, რომელიც მსოფლიო რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა რაზმის მოქმედების ერთიანობას იცავდა, ვ. ი. ლენინი იყო ყველა ერის თანასწორუფლებიანობის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის მგზნებარე ქომაგი. იგი გადაჭრით გმობდა ეროვნული შეუწყნარებლობის, რასობრივი დისკრიმინაციისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ლენინის პარტია — ლენინიზმის ამ ინტერნაციონალისტური ტრადიციების განუხრელად, ურყევად ერთგულია, მას მაღლა უჭირავს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ყველა მშრომელისა და ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის დროშა.

ჩვენს ეპოქაში მთლიანად ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარშეტყველება, რომ გაიზრდებოდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა როლი ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. კოლონიური სისტემის კრახმა, საერთაშორისო ასპარეზზე 70-ზე მეტი ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოს გამოსვლამ, რომლებიც სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში, დიდი ცვლილებანი მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკურ სტრუქტურაში, ხელი შეუწყო ძალთა თანაფარდობის შეცვლას იმპერიალიზმის საზიანოდ.

იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ განმათავისუფლებელი მოძრაობის მსვლელობა და რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, რათა ექსპლოატაცია გაუწიონ და ძარცვონ ყოფილ კოლონიათა და ნახევარკოლონიათა ხალხები. ისინი ცდილობენ ნეოკოლონიალისტური დამოკიდებულების ქსელში გააბან ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები.

განთავისუფლებულ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აღმოფხვრან კოლონიალიზმის ნამთები, დაიცვან და განამტკიცონ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა. ისინი ცდილობენ მოახდინონ ღრმა სოციალური გარდაქმნები, ყოველნაირად განავითარონ ეროვნული ეკონომიკა და კულტურა. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის გზით, სოციალისტურ ქვეყნებთან და საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირით.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის თანამედროვე ამოცანები კარგად არის ნაჩვენები კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის ივნისის საერთაშორისო თათბირის დოკუმენტებში. გამოხატა რა დროის ყველაზე საარსებო მოთხოვნა, თათბირმა მთელ ანტიიმპერიალისტურ ძალებს მოუწოდა ყოველნაირად შეკავშირდნენ, რათა გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სოციალური პროგრესისათვის.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა ხალხი მუდამ ძმური სოლიდარობით ეკიდება ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ხალხებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, უწევს მათ ყოველმხრივ პოლიტიკურ, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება სიმპოზიუმის მონაწილეებს და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს მათ.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სიმპოზიუმი ალმა-ატაში

ალმა-ატა, 30 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი, რომელიც ხვალ იხსნება თემაზე: „ლენინის მოძღვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციებზე და განვითარებადი ქვეყნების სოციალური პროგრესის თანამედროვე ეტაპი“.

საზღვარგარეთელ სტუმრებს შორის არიან აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს გენერალური მდივანი იუსეფ ესსიბაი, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი დია ედ-დინ მუჰამედ დაუდი (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა), ნიგერიის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ტუნუი ოტეგბეი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, აზიზ შერიფი (ერაყი), კამბოჯის ელჩი სსრ კავშირში ჩეა სანი, სიერა ლეონეს ელჩი სსრ კავშირში ამბროზ პ. გენდა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის თავმჯდომარე სემ ნუიომა, სსრ კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ნგუენ ტიენ თხონგი და სხვები.

ლენინგრადი ჟრიამულს ვნერს 100

ჩაის ხარისხი მაღალია

თბილისი. ჩაის საწონი ფაბრიკა (დირექტორი მ. სარჯველაძე) დედაქალაქის პირველი კომუნისტური შრომის საწარმოა. აქაური მშრომელები წარმატებით ანაღდებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. ამ დღეებში აქ შეჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და აღმოჩნდა, რომ საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებები უკვე შესრულებულია. ჩაის შეფუთვისა და დახარისხების ოსტატებმა გამოუშვეს 157 ტონა სხვადასხვა ასორტიმენტის ჩაი და მოახდინეს 614 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 8,8 პროცენტით, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 158 ათასი მანეთი მოგება.

ბ. სოსელია.

ზოგავენ ნედლეულს

ქუთაისი. (საკ. კორ.). მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა მსურვალედ დაუჭირა მხარი რუსთაველი მძახავის ე. კოზიწაშვილის პატრიოტულ თაობრძას ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ფეიერბმა თვითეული ბრიგადის, ცვლის, განყოფილებისა და უბნის მიხედვით გაიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი, რის საფუძველზეც იკისრეს დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები. საჩერ-სართავი უბნის კოლექტივმა, რომელსაც დ. ქელეხსაშვილი უძღვება, გადაწყვიტა ნართის გამოსავლიანობის გადიდებით დავალების გადამეტებით დაზოგოს 4.200 კილოგრამი ნედლეული, ამავე უბნის „ა“ ცვლის კოლექტივმა, რომელსაც კ. გოჩელაშვილი თავკაცობს, ერთი ტონა შენაზავის დაზოგვა იკისრა.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეს — 1970 წლის 22 აპრილს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

მოსკოვში ჩამოვიდა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 1 ოქტომბერს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. იაშჩუკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ენდრიხოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე ი. კულეშა, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში იან პბასინსკი.

ვნუკოვოს აეროდრომი სადღესასწაულოდ არის მორთული. მალალ ანძებზე ფრიალებენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ალმები, ძვირფას სტუმართა შესახვედრად მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. მათ ხელში უჭირავთ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ალმები, მისასალმებელი ტრანსპარანტები.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შესახვედრად მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი და სხვა ოფიციალური პირნი.

აქვე არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები ელჩის იან პბასინსკის მეთაურობით.

სპეციალური თვითმფრინავი, რომელშიც არიან სამეტიო სტუმრები, მიწაზე ეშვება და უახლოვდება აეროპორტის შენობას. ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი გულთბილად მიესალმნენ ამხანაგებს ვლადისლავ გომულკას, იუზეფ ცირანკევიჩსა და დელეგაციის წევრებს, გადეხვევნენ მათ, მაგრად ჩამოართვეს ხელი.

მოძმე ხალხის წარმომადგენლებს გულთბილად შეხვდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, ისმის ტაში, გამარჯვებას უსურვებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევ ძმურ მეგობრობას.

პოლონელი მეგობრები საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად მანქანებში სხდებიან და ქალაქისაკენ მიემართებიან. ჭეშები და მოედნები, რომლებიც სტუმრებმა გაიარეს, მორთული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. (საკდესი).

ჟურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრა

ლენინგრადი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ხმოლნის საავტო დარბაზში გაიხსნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობენ თითქმის 90 ქვეყნის დემოკრატიული პრესის წარმომადგენლები.

ფორუმი გახსნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

პროგრესული ჟურნალისტიკის წარმომადგენლები განაგრძობენ დისკუსიებს და დაათვალიერებენ ლენინურ ადგილებს ულიანოვსკსა და მოსკოვში.

□ □

უმაღლესი სკოლა დღეს

პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

30 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ მოაწყო. პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი პ. ვ. ელიუტინი. მან უამბო პრესის წარმომადგენლებს, თუ როგორ ამზადებენ სახალხო მეურნეობის კადრებს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, თუ როგორ ემზადებიან სტუდენტები და მასწავლებლები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს, თქვა მინისტრმა, ქვეყნის 800 უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში მიღებულია დაახლოებით ერთი მილიონი სტუდენტი. ამრიგად, მარტო სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად სწავლობს თითქმის 5 მილიონი მომავალი სპეციალისტი. ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი ემზადება ცოდნის ისეთ ახალ დარგებში, როგორიცაა ელექტრონული ტექნიკა, ელექტროხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიკა, ენერგოსისტემათა კიბერნეტიკა, საინჟინრო ელექტროფიზიკა, ფიზიკოელექტრონიკა და სხვ.

ვ. პ. ელიუტინი დაწვრილებით შეეხო უნივერსიტეტებსა და ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული პროფილის ინსტიტუტებში, სწავლების ორგანიზაციის სისტემასა და ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირში სპეციალისტების მომზადება ხორციელდება სახალხო-სამეურნეო გეგმების და ამოცანების შესაბამისად. იერარქია რა სწავლაში მუშა ახალგაზრდობის ჩაბმის ახალ ფორმებზე, მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნას. მარტო მიმდინარე წელს ამ განყოფილებებში მეცადინეობს 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე, ხოლო უახლოეს დროში ეს რიცხვი 100 ათასამდე გაიზრდება.

თავის გამოსვლაში ვ. პ. ელიუტინმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბების საკითხებს.

მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს უკვე ტრადიციულ, ზაფხულის შრომით „სემესტრებში“. მარტო მიმდინარე წელს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 270 ათასიანი რაზმი მონაწილეობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული 17 ათასი ობიექტის მშენებლობაში.

დასასრულ ვ. პ. ელიუტინმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს. (საკდესი).

საბჭოთა გაზი საფრანგეთს

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი საფრანგეთს მიაწვდის ბუნებრივ გაზს გაზსადენით, რომელიც ათასობით კილომეტრზე იქნება გაყვანილი. ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. პრინციპული შეთანხმება ამის შესახებ მიღწეული იქნა იმ მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ამ ბოლო დროს მიმდინარეობდა პარიზში. ამ მოლაპარაკებაში საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ნ. გ. ოსიპოვი, ხოლო საფრანგეთის დელეგაციას ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სამმართველოს უფროსი შაპელი.

ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე, რომ საფრანგეთი დაიწყებს მილებისა და მოწყობილობის მიწოდებას სსრ კავშირის გაზის მრეწველობისათვის და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირს მისცემს სესხს, რომელიც თანდათანობით დაიფარება საბჭოთა გაზის გაყიდვის ამონაგებით.

მხარს უჭერენ თათბირის მოწვევას

სტრასბურგი, 1 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასაკოვი გვატყობინებს:

ევროპის საბჭოს პოლიტიკურმა კომიტეტმა დღეს საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეას, რომლის სხდომა სტრასბურგში მიმდინარეობს, წარუდგინა მოხსენება, სადაც მხარს უჭერს უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის იდეას.

□

ა. საღათის გამოსვლა

კაირო, 1 ოქტომბერი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირს მიუკერძოებელი და კეთილშობილური პოზიცია უკავია არაბთა პრობლემებისადმი. ეს ჩვენი მეგობარია, რომელიც დღეჩიადგ აცხადებს, ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების ძირითადი პირობაა“, — თქვა ასიუტის საგუბერნატორო-ში არაბთა სოციალისტური კავშირის აქტივისტებთან შეხვედრაზე გამოსვლისას არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ანვარ სადათმა.

სადათი შეეხო დიდ სახელმწიფოთა პოზიციებს ახლო აღმოსავლეთის კრიზისში და ხაზგასმით აღნიშნა, როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს აშკარა მტრულ პოლიტიკას არაბებისადმი, ისრაელისათვის იარაღისა და ტყვია-წამლის ძირითადი მიმწოდებელია და ყოველმხრივ ეკონომიურ დახმარებას უწევს მას“. ანალოგიური პოზიცია უკავია, როგორც სადათმა განაცხადა, ინგლისსაც.

საბჭოთა კავშირ-ირანის საკავშირო ურთიერთობა

თეირანი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იღებენ ირანულ საქონელს. თქვა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ირანში ა. ბ. დრომზდოვმა ირანელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე. საბჭოთა ექსპორტში ჭარბობს მანქანები, კომპლექსური მოწყობილობა, რომელიც ირანს მეტად ესაჭიროება ეკონომიური განვითარებისათვის. განუწყვეტლივ იზრდება საქონელბრუნვის მოცულობა ორ ქვეყანას შორის. 1965 წლის 33,4 მილიონი დოლარიდან საქონელბრუნვის მოცულობა 1968 წელს 130 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ორი მეზობელი ქვეყნის სავაჭრო თანამშრომლობის ახლანდელი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება საქონელბრუნვა ამ ქვეყნებს შორის.

ლაიხურა პლოვდივის ბაზრობა

სოფია, 1 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი გვატყობინებს:

პლოვდივის 25-ე საერთაშორისო ბაზრობაზე დაუშვეს მისი მონაწილე 48 ქვეყნის ალმები. 10 დღეში ბაზრობაზე იყო ასი ათასობით დამთვალიერებელი, დაიღო უამრავი სავაჭრო გარიგება. ბულგარული ჯგერთიანებების გარიგებამ სხვა ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციებთან 1 მილიარდ 240 მილიონ სავალუტო ლევს მიაღწია, აქედან 800 მილიონი ლევი საბჭოთა კავშირზე მოდის.

დიდი წარმატება ხვდა წილად საბჭოთა პავილიონს ექსპონატებს. ვერტმფრინავ „კა-26“-ს, „ვოლგა-გაზ-24“-ს, თვითმავალ უნივერსალურ კომბაინს „სკ-5“-ს მიენიჭა ოქროს მედლები.

ბაზრობაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ეკონომიური ურთიერთდამხმარების საბჭოს წევრი სხვა სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ ქვეყნებმა პლოვდივში ცხადყვეს მზარდი მისწრაფება გაფართოონ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა და სავაჭრო ურთიერთობა.

ამკარა საფრთხის მაგალითი

ბონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გზატკეცილზე დასავლეთ გერმანიის ქალაქ ტრიერის ახლოს აღმოაჩინეს გახეული 5 კილოგრამიანი პაკეტი ფხვნილისებრი ნივთიერებით, რომელიც მხუთავ მოქმედებას ახდენდა ადამიანზე. ბევრი მძღოლი ავტომანქანებისა, რომლებმაც ამ ადგილს ჩაუარეს, ოხვდა საავადმყოფოში და მძიმე მოწამლის ნიშნები აღმოაჩინა. შემდგომი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად სამეშ ზონიდან დროებით გაბარნეს ახლომდებარე სახლების მცხოვრებნი.

შემოხვევის ადგილას მისული სპეციალისტი ქიმიკოსები იძულებული გახდნენ აერწინაღებით ემუშავათ. მათ გამოარკვიეს, რომ ეს არის ქიმიური საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება, რომელსაც „წვრთნის“ დროს იყენებენ ამერიკის ჯარები. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, ამგვარი ქიმიური ნივთიერებებით აღჭურვილი არიან ნატოს ბოლოში შემავალ ამერიკელთა ქვეგანაყოფები.

მომწამლელი ნივთიერების პაკეტი, რომელიც ტრირის ახლოს აღმოაჩინეს, როგორც ჩანს, ჩამოვარდნილა ერთ-ერთი ავტომანქანიდან და შემდეგ ნივთიერება, რაც პაკეტში იყო, სხვა ავტომანქანებს მიმოუფანტავთ გზატკეცილის დიდ მანძილზე. პოლიცია აფრთხილებს ადგილობრივ მოსახლეობას არ იწმაროს საჭმელად მოსტნეული და ხილი, მოკრეფილი ამ მოწამლული ადგილის ახლოს.

ტრირის მახლობლად გზატკეცილზე მომხდარი ამბავი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა საშიშარი შედეგები შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის ამერიკის ქიმიური იარაღის შეტანას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა სულ უფრო გადაჭრით მოითხოვს გაიტანოს ეს იარაღი ფედერაციული გერმანიის ტერიტორიიდან.

რევოლუციური თეორიის ცოდნა მასებს

პირველ ოქტომბერს ჩვენს რესპუბლიკაში ყველგან ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. როგორც წესი, ყველა რგოლში პირველი მეცადინეობა მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მასალების შესწავლას. რა მოგვცა შარშანდელმა წელმა რევოლუციური თეორიის დაუფლებაში და როგორია ახალი ამოცანები?

შარშან განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლისადმი. პროპაგანდისტების დასახმარებლად ბევრი საინტერესო ლონისძიება განხორციელდა. ლენინის იუბილეს მიეძღვნა საქართველოს, ყაზახისა და ულიანოვსკის ოლქების პროპაგანდისტთა საქმიანი შეხვედრებისა და მეგობრობის კვირეული, მოეწყო პროპაგანდისტთა III რესპუბლიკური შეკრება, გამოიცა მეორე კრებული „პარტიის ოქროს ფონდი“, სპეციალური ბროშურები სერიიდან „პროპაგანდისტი“, ლენინურ თემატიკას მიეძღვნა მრავალი მეთოდური და თეორიული კონფერენცია, სამეცნიერო სესია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ რამდენჯერმე შეისწავლა, განიხილა და განზოგადა პროპაგანდისტებთან მუშაობის საკითხები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში. კომუნისტების შარკისტულ-ლენინურ სწავლებას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივნისის პლენუმი.

ახალ სასწავლო წელს პოლიტიკურ სკოლებში და სემინარებში, აგრეთვე სწავლების სხვა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფორმებში სწავლას შეუდგა 270 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო. თეორიული სიმდიდრის პროპაგანდას ეწევა დაახლოებით 20 ათასი პროპაგანდისტი, ლექტორი და კონსულტანტი.

პარტიული განათლების ქსელში წლევანდელი ამოცანები და თავისებურებები განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციებმა. ამის საფუძველზე პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა შემუშავა სათანადო რჩევა-დარიგება. მისი შესწავლა და შემოქმედებითად გაანალიზება დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

პირველი ელემენტარული მოთხოვნაა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით შემუშავებულ რეკომენდაციებში კარგად გარკვევა. ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დაწყებითი პოლიტიკური სკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების, პარტიული აქტივის სკოლების და თეორიული სემინარების პროგრამების გაფართოება. მსმენელები საფუძვლიანად შეისწავლიან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, „შემარცხენე“ და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან კომუნისტური პარტიის ბრძოლის აქტუალურ საკითხებს. დაწყებითის სკოლებში სწავლება მთელი ერთი წლით გახანგრძლივდება.

პოლიტგანათლების რესპუბლიკურმა სახლმა დაგზავნა სათანადო მეთოდური მასალები ამ სკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად. დამხმარე მასალა დაიგზავნა აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების მსმენელებისა და პროპაგანდისტებისათვის. ეს მეთოდური მასალები შესაძლებელია შეიკვეთოს, გაფართოვდეს, დაიხვეწოს. ჩვენ მიერ დადგენილი მეცადინეობის მოწყობის ვადები და თანმიმდევრობა ძირითადად უნდა დავიცვათ, შევცვალოთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგებზე. პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების და დოკუმენტების ქსელში შესწავლის საკითხებზე თებერვლის 25-26 სექტემბერს მოეწყო პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი.

შესასწავლი მასალის სირთულისა და სპეციფიკურობის გამო საჭიროა ასეთივე ლონისძიებები განახორციელონ რაიონულმა კომიტეტებმა, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც. კარგი იქნება, თუ მოეწყობა პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების სპეციალური მეცადინეობა, ლექციების ციკლები.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მიერ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით შემუშავებულ რჩევა-დარიგებაში მითითებულია, თუ რა მასალები გამოქვეყნდება და გადაიცემა საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში სემინარებს მსმენელთა და პროპაგანდისტთა დასახმარებლად. საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა ეს მასალა. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მეთოდურმა საბჭომ უკვე თარგმნეს სკკპ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მიერ ეკონომიკის, ფილოსოფიისა და საერთაშორისო თეორიული პრობლემების სანიმუშო თემები და გეგმები. თეორიული პრობლემებისათვის რეკომენდებულია შესასწავლი გეგმა, მკითხველთა თეორიული კონფერენციების თემები, სემინარული მეცადინეობის რეფერატების, მოხსენებების თემები და გეგმები, სანიმუშო პრაქტიკული დავალებები, ლიტერატურის სია.

თეორიულ სემინარებში არსებობს შესასწავლი საგნის თუ პრობლემის სირთულისა და მოცულობის მიხედვით სწავლების სხვადასხვა ვადები. ყველაზე გავრცელებულია სემინარები (განსაკუთრებით საპრობლემო და მეთოდოლოგიური) სწავლების ერთი წლის ვადით.

სწორად იქცევიან პოლიტიკური განათლების სახლები, როცა სასწავლო გეგმებში შეაქვთ კონკრეტულ თემებზე სკოლებისა და სემინარების მსმენელთა გამოსვლების განხილვა. ასეთი მიდგომა დაგვეხმარება პოლიტსკოლებისა და სემინარების მსმენელთა რიგებიდან მოვამზადოთ კვალიფიციური აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და პროპაგანდისტი.

უმ.ოლეს რგოლში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია თეორიულ, საპრობლემო და მეთოდოლოგიურ სემინარებში სწავლების დაგეგმვა. პარტიული ორგანიზაციები, პოლიტიკური განათლების კაბინეტები, მათთან შექმნილი მეთოდიური საბჭოები ამ საკითხის სრულიად გაუმართლებელ შეუფასებლობას იჩენენ. ამის შედეგად უმაღლესი განათლების მქონე ამხანაგები წლების მანძილზე უსისტემოდ სწავლობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს.

პროპაგანდისტები, პარტიული განათლების კაბინეტები და უპირველეს ყოვლისა თვით პარტიული ორგანიზაციები წლიდან წლამდე გონივრულად უნდა გეგმავდნენ ინტელიგენციის პოლიტიკურ სწავლებას, პერსპექტივაში სწორად დაგეხდნენ სწავლების თანმიმდევრობას. ურჩევდნენ შესასწავლი საკითხის პრობლემატიკას და აღწევდნენ, რომ მსმენელებმა საფუძვლიანად შეისწავლონ ესა თუ ის საკანონ ან პრობლემა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. ამ პირობის დაცვა და ცხოვრებაში გატარება უფრო ეფექტურს და ქმედითს ხდის პროპაგანდას. ამასთან ერთ-ერთ საინტერესო, მაგრამ მივიწყებულ მეთოდს წარმოადგენს პრაქტიკული დავალებების მიცემის მეთოდი. ჟურნალი „მეთოდური ბიულეტენი“ ხშირად აშუქებს ამ საკითხს თავის ფურცლებზე. მაგალითად, მკითხველებს გავაცანით პრაქტიკული დავალებების მეთოდის გამოყენება ფოთის ნავსადგურის პარტიულ ორგანიზაციაში. მიუხედავად ამისა, პროპაგანდისტთა უმრავლესობა უგულებელყოფს მას, ხოლო პარტიული განათლების სახლები და კაბინეტები ამ მიმართულებით თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწევიან.

ისევე, როგორც შარშან, წელსაც ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების შესწავლა მთავარია სწავლების ყველა რგოლში. შარშან რესპუბლიკის ყველა რაიონში და ქალაქში ლენინურ თემას მიეძღვნა თეორიული და მეთოდური კონფერენციები, ძიმბადდა და დაიგზავნა დგილებზე რეკომენდაციები ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების შემსწავლელთათვის, სწავლების ყველა რგოლში ეწყობოდა პროპაგანდისტთა სპეციალური სემინარები. პარტიული განათლების კაბინეტებში, მრავალ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში შეიქმნა ლენინის ოთახები, ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები, სტენდები. მიმდინარე წლის ივნისში ქ. თბილისში, გორში, ცხინვალში, რუსთავში, თელავში და ბორჯომში საქართველოს, ულიანოვსკისა და ყაზახის პროპაგანდისტები უზიარებდნენ ერთმანეთს ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური, ეკონომიური და ისტორიული, მემკვიდრეობის შესწავლის გამოცდილებას.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მეთოდური საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტთა დასახმარებლად ისეთი საკითხების დამუშავებას, როგორიც არის დამოუკიდებელი მუშაობა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე. მათი დაკონსპექტება, გეგმების შედგენა, პროპაგანდისტული გამოსვლების მზადების ლენინური მეთოდიკა და სხვა. მომავალდება და გამოქვეყნდება სტატიები და კონსულტაციები თემებზე: ვ. ი. ლენინი პროპაგანდის პარტიულობის შესახებ, ვ. ი. ლენინის ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, რევოლუციური თეორიის რევიზიონისტული დამახინჯების წინააღმდეგ და სხვ. პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლთან შექმნილი პროპაგანდისტთა ათი სხვადასხვა სემინარი და ლექტორიუმი თავისი მუშაობის ძირითად შინაარსს ლენინური მოძღვრების შესწავლა-დაუფლებას დაუქვემდებარებს.

ამრიგად, ლონისძიებები ვ. ი. ლენინის იუბილესათვის მზადების პერიოდში საკმაოდ ბევრია, საჭიროა მხოლოდ, რომ რაოდენობასთან ერთად იზრდებოდეს თვითეული მათგანის ხარისხი, მდიდრდებოდეს მათი შინაარსი.

გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში ორმოცი ათასზე მეტი მსმენელი სწავლობდა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას. ახალ სასწავლო წელს კი მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად წარმოადგენს პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა კადრების ინტენსიური მზადება.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები გადაეკეთნენ ახალი სახეის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შესწავლაზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა აქედანვე უნდა იზრუნონ ამ საგნის პროპაგანდისტთა კადრის მომზადებაზე. ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის პროპაგანდისტთა სწორად შერჩევაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დამოკიდებულია პარტიული განათლების სისტემაში აღსრულებული საგნების მეცნიერულად დაუფლება.

მოწონებულ პროპაგანდისტების მოღვაწეობის ანალიზთან ერთად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას. მართალია, პერიოდულად განვიხილავთ პარტიული განათლების საკითხებს ბიუროს სხდომებზე და კრებებზე, მაგრამ ასეთი განხილვას ზოგჯერ არაფერი აქვს საერთო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილის სერიოზულ შესწავლასთან.

ჩვენს მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია ინტელიგენციის ფართო ფენებთან, გამოცდილ სპეციალისტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან მჭიდრო და საქმიანი კონტაქტების დამყარება. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად კვლავ რჩება პარტიული სწავლების სისტემაში მეცნიერებისა და გამოცდილი სპეციალისტების ფართოდ ჩაბმა. ინტელიგენციასთან მუშაობაში საჭიროა გამოვიჩინოთ სათანადო ტაქტი, დაკვირვებულობა, დაკანონტერესოთ ამხანაგები ჩვენი პრობლემებით, მივუჩინოთ მათ ის უბანი, რომელიც ყველაზე მეტად ეხებოდეს მათ ინტერესებს, ცოდნას და შესაძლებლობას.

კარგი იქნება, თუ პარტიული კომიტეტები, ეფექტური სასწავლო-ტექნიკური ინფორმაციების დამამზადებელ მოწინავე ... ...

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 30 სექტემბერი. (საკდისი). გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი მთავრობის პირველი სხდომა.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მთავრობამ განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელიც მოუწოდებს გაშალონ შრომითი ინიციატივა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად. მთავრობა სავსებით მხარს უჭერს ამ მიმართვას.

